საქართველო
შ.პ.ს ზუგდიდის ინფექციური
საავადმყოფო
ზუგდიდი-
ონარია
ტელ: 595 29 00 06

GEORGIA
L.T.D
INFECTIOUS HOSPITAL
OF ZUGDIDI
ZUGDIDI-ONARIA
T.: 595 29 00 06

N/164

1/08/2024 წ

ბრძანება

ვბრძანებ,რომ

შპს ,,ზუგდიდის ინფექციურ საავადმყოფო''-ში დაწესდეს საჯარიმო სანქციები შინაგანაწესის 6.2 ,,დისციპლინარული ზომები-ს წესის მიხედვით
თუ თანამშრომელი დროულად და ხარისხიანად არ ასრულებს მის ფუნქცია მოვალეობებს ან თუ ღიად აყენებს ზიანს კლინიკის რეპუტაციას, ქონებას ან ფინანსურ სახრებს.ფინანსური ზარალის მიყენების შემთხვევაში, დაუკავდეს მიმდინარე თვის კუთვნილი ხელფასიდან მოყენებული ზიანის ადეკვატურად (ფაქტიური დანახარჯის 20%). სხვა დანარჩენ შემთხვევაში, სიტყვიერი გაფრთხილება.

- ფინანსური (საჯარიმო სანქციები, პრემიების მოხსნა და სხვა) საანგარიშგებო დოკუმენტების არადროულ ჩაბარებაზე (შესაბამისი დოკუმენტისთვის გაწერილი პერიოდის მიხედვით) და ამით გამოწვეულ შეფერხებებზე;
- მის მიერ მომზადებული და ვიზირებულ დოკუმენტაციაში არაზუსტი და არასრული ინფორმაციის მითითებაზე;
- კომპანიაზე დაკისრებულ ჯარიმაზე, გავრცელებულ სანქციასა და მიყენებულ ზიანზე, თუ ეს გამოწვეულია მისი მოქმედებით ან უმოქმედობით;
- დასახული მიზნის მისაღწევად წინასწარ დაგეგმილი, განსახორციელებელი აქტივობების შეუსრულებლობაზე;
- დაკისრებული ფუნქციების არასრულად, არასათანადო ხარისხით, არადროულად შესრულებაზე;
- დაქვემდებარებული პერსონალის არაკვალიფიციურ, არაკეთილსინდისიერ, არამართლზომიერ ქმედებებზე;
- მენეჯმენტისთვის ან სხვა შესაბამისი სამსახურებისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის დაგვიანებით, არაზუსტად მიწოდებაზე;

- კომპანიისთვის მნიშვნელოვანი, მის განკარგულებაში არსებული, კონფიდენციალური ინფორმაციის გაცემაზე;
- მის განკარგულებაში ან სარგებლობაში არსებული რესურსების, ინვენტარის, ძირითადი საშუალებების არასათანადო ექსპლუატაციაზე, უდიერად მოპყრობაზე, გაფლანგვაზე;

შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების, საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის, დამსაქმებლის შინაგანაწესის, საქმისწარმოების წესების, ინსტრუქციების და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის დარღვევაზე.

შპს ,,ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო"
კლინიკური დირექტორი
ბადრი შდანია